



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 87

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
31.10.2023

87-06-4-202310311558



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 30 ოქტომბრის №18-1823303109 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის №1 განკარგულებაში:

ა. განკარგულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული დანართი 1 - „საპრივატიზაციო უძრავი ობიექტების ნუსხა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ. განკარგულების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული დანართი 2 - „საპრივატიზაციო მოძრავი ობიექტების ნუსხა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე